



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 08

2017 წელი 28 თებერვალი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 აგვისტოს №25 დადგენილებით (www.mastne.gov.ge, 04/09/2015წ; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.133.016164) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სასაფლაოებზე დაკრძალვის უფლება მიეცემათ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისა და სხვა მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სასაფლაოებზე საფლავის გამოყოფისა და დაკრძალვის მომსახურების საფასურის შესაბამისად.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ჯუმბერ ვარდმანიძე